

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ

**თავი I
ზოგადი დებულებანი**

მუხლი 1. კანონის მიზანი

კანონის მიზანია დააწესოს არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ნორმატივები, განსაზღვროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ან მოსარგებლისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევით ან დროებით დაკავებით, მათი უფლებების შეზღუდვით ან მიწის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესი.

მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო

სამეურნეო მიზნით გამოყოფისას მიყენებული ზიანი და

მისი ანაზღაურება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ანაზღაურება სანაცვლო მიწის ათვისების ხარჯები და ნაკვეთის ჩამორთმევით ან დროებით დაკავებით გამოწვეული ზიანი.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონით დადგენილი წესი და პირობები ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებლად ვარგის მიწებსა და იმ მიწებზე, რომლებიც მდებარეობს დასახლებული პუნქტების საზღვრებს გარეთ და მათი სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გამოყენება პერსპექტივაში შეუძლებელია.

მუხლი 4. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო

სამეურნეო მიზნით გამოყოფით ან დროებით დაკავებით

გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფით ან დროებით დაკავებით გამოწვეულ ზიანს ანაზღაურებს ის ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, ვისაც მიწა გამოუყვეს.

მუხლი 5. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო

სამეურნეო მიზნით გამოყოფით გამოწვეული ზიანის

დადგენის წესი

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას მიწათმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვით ან მიწის ხარისხის გაუარესებით გამოწვეული ზიანი დგინდება სამიწათმწყობო პროექტით (სამიწათმწყობო საქმე), რომელშიც ასახულია შემდეგი მონაცემები:

- ა) მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა და მშენებარე ობიექტის განლაგება;
- ბ) მიწის ნაკვეთის ფართობი, სავარგულთა შემადგენლობა და საკადასტრო შეფასება;
- გ) დაზიანებული წარმოების აღდგენის ვადა და პირობები;
- დ) დაზიანებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ალების, შენახვის და გამოყენების ვადა და პირობები;
- ე) მიწის რეკულტივაციის ვადა და პირობები;
- ვ) მიწის გამოყოფის, დაკავების, გამოყენების ვადა და პირობები;
- ზ) ზიანის ოდენობა;

თ) გამოყოფილი მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ხარჯები.

2. სამიწათმწყობო პროექტს ადგენენ მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამსახურები ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ერთად.

3. მიწის ნაკვეთის დროებით (სამ წლამდე) გამოყოფის შემთხვევაში ზიანის ოდენობა აისახება ნაკვეთის გადაცემის აქტში, ხოლო ფაქტობრივი ზიანის ოდენობა დგინდება ნაკვეთის გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, იმ ფასითა და ნორმატივებით, რომელიც მოქმედებს ნაკვეთის დაბრუნების აქტის შედგენის მომენტისათვის.

მუხლი 6. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო

სამეურნეო მიზნით გამოყოფით ან დროებით დაკავებით

გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას დაქვემდებარებული ობიექტები

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ან დროებით დაკავებისას უნდა ანაზღაურდეს: შენობა-ნაგებობათა ღირებულება ან ახალ ადგილზე მათი გადატანის ხარჯები, მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება, მიწის ნაყოფიერების აღსადგენი ხარჯები, დაუშთავრებელი წარმოების (ხვნა, თესვა, სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები) ღირებულება,

მოსავლის ღირებულება, დაკარგული მოგება, აგრეთვე მიწის მფლობელისათვის მიყენებული სხვა ზიანი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთის ჩამორთმევასთან ან დროებით დაკავებასთან.

მუხლი 7. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო

სამეურნეო მიზნით გამოყოფით ან დროებით დაკავებით

გამოწვეული ზიანის განსაზღვრა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფით ან დროებით დაკავებით მიყენებული ზიანი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) გამოყოფილ ან დროებით დაკავებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული, აგრეთვე გამოყოფილი მიწის ნაკვეთის ფარგლებს გარეთ არსებული შენობა-ნაგებობების შეფასების მიხედვით, ხოლო თუ დანიშნულებისამებრ მათი შემდგომი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდება-ობიექტის საბალანსო ღირებულების მიხედვით;

ბ) ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც გამოეყო კერძო საკუთრებაში არსებული მიწა, უფლება აქვს მიწის შესაკუთრის თანხმობით, სახელმწიფო მიზანშეწონილობის შემთხვევაში, მიწაზე განლაგებულ შენობა-ნაგებობათა და სხვა ობიექტების ღირებულების ანაზღაურების ნაცვლად, თავისი სახსრებით გადაიტანოს ახალ ადგილზე ან ააშენოს ახალი შენობა-ნაგებობები და სხვა ობიექტები, ამასთან, გაწეული დანახარჯის და დასაზღვრევი ობიექტის ღირებულებას შორის არსებულ მეტობით სხვაობას აანაზღაურებს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლისგანაც გამოეყო მიწის ნაკვეთი;

გ) ნაყოფისმომცემი მრავალწლიანი ნარგავების შეფასება ხდება მათი საბალანსო ღირებულების მიხედვით, მსხმოიარობაში შეუსვლელი ხენილის და სხვა მრავალწლიანი ნარგავებისა კი - ამ ნარგავებზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯის ოდენობის მიხედვით;

დ) დაუმთავრებელი წარმოების (ხვნა, თესვა, სასუქების შეტანა და სხვა სამუშაოები) ღირებულება განისაზღვრება შესრულებული სამუშაოებისათვის ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების მიხედვით;

ე) წყლის რესურსებით (ჭა, გუბურა, წყალსატევი, ჭაბურღილი და ა.შ.) სარგებლობის შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანი განისაზღვრება ჭის, გუბურის, წყალსატევის, ჭაბურღილისა და ა.შ. მშენებლობისათვის შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების მიხედვით;

ვ) მიწის ნაკვეთის გამოყოფის ან დროებით დაკავების დროს, თუ ნაწილობრივ ან მთლიანად მოიშალა სარწყავი და დამშრობი, ეროზიის საწინააღმდეგო, ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების (სისტემების) მუშაობა, ზიანი განისაზღვრება ახალი ნაგებობის (სისტემის) ასაშენებლად ან არსებულის სარეკონსტრუქციოდ შესრულებულ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით, მოქმედი ფასის და ნორმების შესაბამისად, საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ღირებულების ჩათვლით;

ზ) მიწის მოცდენის შედეგად ყოველწლიურ ზიანს ანაზღაურებს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისაც მიწა გამოუყვეს. ყოველწლიური მოგება იანგარიშება საშუალოდ ბოლო ხუთი წლის წარმოების ფაქტობრივი მოცულობიდან იმ ფასით, რომელიც მოქმედებდა მიწის ჩამორთმევის მომენტიდან და გადაიხდება ერთჯერადად;

თ) მიწათმოსარგებლის (მიწის შესაკუთრე, მოიჯარე) უფლებების შეზღუდვით გამოწვეული ზიანი (სამშენებლო, სამელიორაციო და სხვა სამუშაოები) ანაზღაურდება დარღვეული წარმოების აღსადგენად საჭირო მასალებისა და მოწყობილობების შესაძენი ხარჯების ჩათვლით;

ი) გაუარესებული მიწის ნაყოფიერების აღსადგენად აუცილებელი დანახარჯები მოიცავს ხარჯებს, რომელიც საჭიროა ნიადაგის აგროქიმიური, საკვლე-საძიებო და სხვა სპეციალური სამუშაოების, აგრეთვე უშუალოდ მიწის ნაყოფიერების აღსადგენ ღონისძიებათა ჩასატარებლად;

კ) წყლის რესურსების (ჭა, გუბურა, წყალსატევი, ჭაბურღილი და ა.შ.) სარწყავი და დამშრობი სისტემების ფუნქციონირების შეფერხების ან შეწყვეტის გამო მიწათმოსარგებლისათვის მიყენებულ ზიანს, მათი მშენებლობის ან რეკონსტრუქციისათვის საჭირო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან ერთად, ანაზღაურებს ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისაც მიწა გამოუყვეს, იმ ოდენობით, რასაც კარგავს მიწათმოსარგებლე ყოველწლიური შემოსავლის სახით. ზიანის ოდენობა იანგარიშება საშუალოდ ბოლო ხუთი წლის წარმოების ფაქტობრივი მოცულობიდან იმ ფასით, რომელიც მოქმედებდა მიწის ჩამორთმევის მომენტიდან და გადაიხდება ერთჯერადად.

თავი II

არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების დადგენა

მუხლი 8. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი

მიწის ათვისების ღირებულების დადგენა

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შენარჩუნების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების საჭირო მოცულობის უზრუნველსაყოფად ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გამოუყვეს არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, ანაზღაურებს (მიწათმოსარგებლის ზიანის ანაზღაურებასთან ერთად) გამოყოფილი ნაკვეთის სანაცვლო თანაბარი ფართობის ახალი მიწის ათვისების ღირებულებას, იმის გათვალისწინებით,

რომ ახლად ასათვისებელ მიწებზე განხორციელდეს მათი გაკულტურებისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებები.

2. არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთად ზდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულად ვარგისი სარეზერვო მიწების ათვისება.

მუხლი 9. მიწის ნაკვეთის ასათვისებლად აუცილებელი სამუშაოების ღირებულება

1. ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის ასათვისებლად საჭირო სამშენებლო სამუშაოების საშუალო შეწონილი ღირებულება განისაზღვრება 14286 ლარის ოდენობით.

2. ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის პროდუქტიულობის შეფარდებით შესაფასებელი საკადასტრო მაჩვენებელი განისაზღვრება ამ კანონის N 1 დანართის მიხედვით, ამასთან, თუ გამოყოფილი ფართობი სუსტად ან საშუალოდ დამლაშებული, ბიცობიანი, ან საშუალოდ და ძლიერ ხირსატიანი, ქვიანი და ეროზირებულია, წესდება პირობითი საკადასტრო ბალის შემასწორებელი კოეფიციენტი 0.7.

3. ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის და ურწყავი სათიბ-საძოვრის ათვისების საბაზისო ნორმატივი განისაზღვრება N 2 დანართის მიხედვით.

მუხლი 10. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისების საბაზისო ნორმატივის შემასწორებელი (გამადიდებელი) კოეფიციენტი

სარწყავი და დაშრობილი ფართობების გამოყოფისას დაწესებულია პროდუქტიულობის შეფარდებითი კოეფიციენტი 2.0.

მუხლი 11. ტყე-ბუჩქნარიანი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ნორმატივები

1. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყე-ბუჩქნარიანი მიწის გამოყოფისას, თუ ეს ფართობი პერსპექტივაში შეიძლება გამოყენებული იქნეს სახნავ-სავარგულად, ვრცელდება ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის ათვისების ღირებულების ნორმატივი, 14286 ლარი.

2. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით ტყე-ბუჩქნარიანი და სხვა მიწის გამოყოფისას, თუ ამ ფართობის სასოფლო-სამეურნეო სავარგულად გამოყენება პერსპექტივაში შეუძლებელია, მინიმუმად განსაზღვრულია ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავის ათვისების ღირებულების ნორმატივის (14286 ლარი) 20 პროცენტი.

მუხლი 12. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ასათვისებელი თანხის ანაზღაურება

1. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ასათვისებლად მიწის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირი იხდის დაწესებული კოეფიციენტების ჯამისა და საწყისი საბაზისო ნორმატივის ღირებულების ნამრავლით მიღებულ თანხას.

2. არსებული წესის შესაბამისად, ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გასხვისების შემთხვევაში, მიწის შემძენი, ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების გარდა, სახელმწიფოს უხდის სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებას.

3. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყოფის შემთხვევაში მიწის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი იხდის აგრეთვე მიწის არასასოფლო-სამეურნეო გამოყენების შედეგად ეკოლოგიური წონასწორობის აღსადგენად საჭირო თანხას პროექტის შესაბამისად.

4. მიწის მიმღებ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოეყოფა სანაცვლო მიწის ათვისების ხარჯების ანაზღაურების შემდეგ.

მუხლი 13. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისებისა და მოსარგებლისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებელი თანხის ჩარიცხვის წესი

1. ფიზიკური ან იურიდიული პირი არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლო ახალი მიწის ათვისების თანხას ჩარიცხავს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სახაზინო ანგარიშზე.

2. არასასოფლო-სამეურნეო მიზნით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყოფის შედეგად მიყენებული ზიანით გამოწვეულ ხარჯებს ფიზიკური ან იურიდიული პირი ჩარიცხავს ამ ფასეულობათა მესაკუთრის ანგარიშზე.

მუხლი 14. ახალი მიწის ასათვისებლად ჩარიცხული თანხების გამოყენების წესი
 ახალი მიწის ათვისების თანხები გამოიყენება ახალი მიწის ათვისების და მიწის მართვის ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

მუხლი 15. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის
 პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**თავი III
 დასკვნითი დებულებანი**

მუხლი 16. კანონის ამოქმედება
 ეს კანონი ამოქმედდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის განკარგვის შესახებ კანონების მიღების შემდეგ, მათი ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
 1997 წლის 2 ოქტომბერი.
 N 900 - II

დანართი N I

ახალი მიწის ათვისების ხარჯების განსაზღვრისათვის ურწყავი სახნავის პროდუქტულობის შეფარდებითი შეფასების საკადასტრო მონაცემები ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით

N	რაიონების დასახელება	ურწყავი სახნავის საერთო პროდუქციის ღირებულება ლარი /ჰა	პირობითი საკადასტრო ბალი	შენიშვნა
1	2	3	4	
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა				
1	გაგრის	4172	2,15	
2	გალის	4601	2,38	
3	გუდაუთის	4176	2,16	
4	გულრიფშის	4176	2,16	
5	სოხუმის	4591	2,37	
6	ოჩამჩირის	4595	2,37	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა				
7	ქედის	3872	2,0	
8	ქობულეთის	4598	2,38	

9	ხელვაჩაურის	4525	2,34
10	ხულოს	3576	1,85
11	შუახევის	3576	1,85

რაიონები

	1	2	3	4
1	ახალგორის	3568	1,84	
2	აბაშის	4472	2,31	
3	ადიგენის	2679	1,38	
4	ამბროლაურის	2980	1,54	
5	ასპინძის	2680	1,38	
6	ასალქალაქის	3576	2,00	
7	ასალციხის	3576	1,85	
8	ასმეტის	3586	1,85	
9	ბაღდათის	3872	2,00	
10	ბოლნისის	4172	2,15	
11	ბორჯომის	2693	1,39	
12	გარდაბნის	4611	2,38	
13	გორის	4172	2,15	
14	გურჯაანის	4176	2,16	
15	დმანისის	3576	2,00	
16	დედოფლისწაროს	4180	2,16	
17	დუშეთის	2680	1,38	
18	ვანის	3872	2,00	
19	ზესტაფონის	3872	2,00	
20	ზუგდიდის	4322	2,23	
21	თელავის	4182	2,16	
22	თერჯოლის	4030	2,08	
23	თეთრიწყაროს	3726	1,92	
24	თიანეთის	3230	1,67	
25	კასპის	3880	2,00	

26	ლაგოდეხის	4022	2,08
27	ლანჩხუთის	4178	2,16
28	ლენტეხის	2235	1,15
29	მარნეულის	4611	2,38
30	მესტიის	2091	1,08
31	მარტვილის	3872	2,00
32	მცხეთის	4172	2,15
33	ნინოწმინდის	3580	2,00
34	ოზურგეთის	4182	2,16
35	ონის	2385	1,23
36	საგარეჯოს	3726	1,92
37	სამტრედიის	4521	2,34
38	საჩხერის	3283	1,70
39	სიღნაღის	3872	2,00
40	ტყიბულის	2680	1,38
41	ქარელის	3880	2,00
42	ყვარელის	3880	2,00
43	ყაზბეგის	1937	1,00
44	ცაგერის	3133	1,62
45	ჩოხატაურის	3230	1,67
46	ჩხოროწყუს	3583	1,85
47	წალენჯიხის	3876	2,00
48	წალკის	3417	1,77
49	წყალტუბოს	4588	2,37
50	სენაკის	4176	2,16
51	ჭიათურის	2091	1,08
52	ხაშურის	3876	2,00
53	ხარაგოულის	2533	1,31
54	ხობის	4180	2,16
55	ხონის	4182	2,16
56	ჯავის	1937	1,0

დანართი N 2

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი
სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სანაცვლო ახალი მიწის
ათვისების საბაზისო ნორმატივები საქართველოს
ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით

(ლარი)

N	რაიონების დასახელება	1 ჰექტარი ურწყავი სახნავის ათვისების საბაზისო ნორმატივი	1 ჰექტარი ურწყავი სათიბ- საძოვრის ათვისების საბაზისო ნორმატივი	შენიშვნა
	1	2	3	4
აფაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა				
1	გაგრის	30715	18429	
2	გალის	34001	20400	
3	გუდაუთის	30858	18515	
4	გულრიფშის	30858	18515	
5	სოხუმის	33858	20315	
6	ოჩამჩირის	33858	20315	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა				
7	ქედის	28572	17143	
8	ქობულეთის	34001	20400	
9	ხელვაჩაურის	33429	20058	
10	ხულოს	26429	15857	
11	შუახევის	26429	15857	
რაიონები				
	1	2	3	4
1	ახალგორის	26286	15772	
2	აბაშის	33001	19800	
3	აღიგენის	19715	11829	

4	ამბროლაურის	22000	13200
5	ასპინძის	19715	11829
6	ასალქალაქის	28572	17143
7	ასალციხის	26429	15857
8	ასმეტის	26429	15857
9	ბაღდათის	28572	17143
10	ბოლნისის	30715	18429
11	ბორჯომის	19857	11915
12	გარდაბნის	34001	20400
13	გორის	30715	18429
14	გურჯაანის	30858	18515
15	ღმანისის	28572	17143
16	დედოფლისწაროს	30858	18515
17	დუშეთის	19715	11829
18	ვანის	28572	17143
19	ზესტაფონის	28572	17143
20	ზუგდიდის	31858	19115
21	თელავის	30858	18515
22	თერჯოლის	29715	17829
23	თეთრიწყაროს	27429	16457
24	თიანეთის	23858	14315
25	კასპის	28572	17143
26	ლაგოდეხის	29715	17829
27	ლანჩხუთის	30858	18515
28	ლენტეხის	16428	9857
29	მარნეულის	34001	20400
30	მესტიის	15429	9257
31	მარტვილის	28572	17143
32	მცხეთის	30715	18429
33	ნინოწმინდის	28572	17143
34	ოზურგეთის	30857	18515

35	ონის	17718	10543
36	საგარეჯოს	27429	16457
37	სამტრედიის	33429	20058
38	საჩხერის	24286	14572
39	სიღნაღის	28572	17143
40	ტყიბულის	19715	11829
41	ქარელის	28572	17143
42	ყვარელის	28572	17143
43	ყაზბეგის	14286	8572
44	ცაგერის	23143	13886
45	ჩოხატაურის	22429	13457
46	ჩხოროწყუს	26429	15857
47	წალენჯიხის	28572	17143
48	წალკის	25286	15172
49	წყალტუბოს	33858	20315
50	სენაკის	30858	18515
51	ჭიათურის	15429	9257
52	ხაშურის	28572	17143
53	ხარაგოულის	18715	11229
54	ხობის	30858	18515
55	ხონის	30858	18515
56	ჯავის	14286	8572

**„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით
გამოყოფისას
სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების
შესახებ“**

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N43, 30.10.1997, გვ.11) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას მიყენებული ზიანი და მისი ანაზღაურება

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას ანაზღაურდება სანაცვლო მიწის ათვისების ხარჯები და ნაკვეთის ჩამორთმევით ან დროებით დაკავებით გამოწვეული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასოფლო-სამეურნეო მიწაზე წიაღით სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით წესდება მიწის მინაკუთვნი და იგი შეიტანება წიაღის სახელმწიფო ფონდში „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი

2005 წლის 22 აპრილი.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით
გამოყოფისას
სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების
შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით
გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის
ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, N43, 30.10.1997, გვ. 11)
მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სამიწათმოყვობო პროექტს ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და
მმართველობის ორგანოები.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2005 წლის 28 დეკემბერი.

**„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით
გამოყოფისას
სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების
შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო - სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N43, 30.10.1997, გვ. 11) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფიზიკური ან იურიდიული პირი არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სანაცვლოდ ახალი მიწის ათვისების თანხას ჩარიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტში.“.

2. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. ახალი მიწის ათვისების დაფინანსება

ახალი მიწის ათვისების ღონისძიებათა დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2004 წლის 29 დეკემბერი.